



სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 27 2401, ელ. ფოსტა: [info@tesau.edu.ge](mailto:info@tesau.edu.ge)

---

აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: აგრონომია Agronomy

მიმართულება/სპეციალობა: 01 აგრარული მეცნიერებანი/0101 აგრონომია

პროგრამის ხელმძღვანელები: 1. მანანა კველიშვილი სოფლის მეურნეობის დოქტორი, პროფესორი;

2. ნიკოლოზ სულხანიშვილი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

1. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ

ოქმი N 25 06.08.2018

ფაკულტეტის დეკანი:

/პროფ. მანანა კველიშვილი/

2. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ:

ოქმი N 22 06.08.2018

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ხელმძღვანელი: /ასოც. პროფ. შალვა ჭკადუა/

3. დამტკიცებულია აკადემიურის საბჭოს მიერ

ოქმი N 32 06.08.2018

უნივერსიტეტის რექტორი/ასოც. პროფ. ი. შიომშვილი/

თელავი 2018

**ფაკულტეტი:** აგრარულ მეცნიერებათა

**დეპარტამენტი:** სოფლის მეურნეობისა და ქიმიის

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** აგრონომია Agronomy

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:**

1. მანანა კველიშვილი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, პროფესორი ტელ. 577 67 71 84 ელ.ფოსტა: manuka62@gmail.com

2. ნიკოლოზ სულხანიშვილი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

ტელ. 599 15 69 70, ელ. ფოსტა: [nikoloz63@yahoo.com](mailto:nikoloz63@yahoo.com)

**აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი (I საფეხური)

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** დამატებითი

**სწავლების ენა:** ქართული

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** -

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 60 ECTS

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** დამატებითი პროგრამის არჩევის ფორმის შევსება

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია რეგიონისათვის დამახასიათებელი პროირიტეტის გათვალისწინებით ძირითად სპეციალობასთან ერთად კურსდამთავრებულს მისცეს დამატებითი ცოდნა ნიადაგის ტიპების, სტრუქტურის, ნაყოფიერების, მისი აგროტექნოლოგიური ღონისძიებების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებების და მავნებლების, მათთან ბრძოლის ღონისძიებების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯგუფების, მათი მოყვანის პირობების ახალი ჰიბრიდული ჯიშების გამოყვანის, თესლების გამოყვანის და ნერგების მოყვანის პირობების, გარემო ფაქტორებისადმიმცენარეთა დამოკიდებულების, ორგანული სოფლის მეურნეობის, ბიოტექნოლოგიის საფუძვლების შესახებ.

პროგრამის მიზანია აგრეთვე სტუდენტებმა მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკულად.

**სწავლის შედეგი:**

<p>ცოდნადაცნობიერება</p>	<p><b>აქვს ცოდნა</b> ნიადაგის ტიპების, სტრუქტურის, მორფოლოგიის, მისი დამუშავების ხერხების შესახებ განსაზღვრავს ნიადაგის ნაყოფიერებას და ასახელებს მის გაუმჯობესების პრინციპებს;</p> <p>იცნობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებებს, აღწერს მათ გავრცელების არეალს და დეტალურად აყალიბებს მათი მოქმედების წინააღმდეგ ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებებს; აყალიბებს ნიადაგთწარმოქმნის პროცესებს და მის ბიოლოგიურ თავისებურებებს;</p> <p>აღწერს მცენარეთა სასიცოცხლო ფაქტორებს და მიწათმოქმედების კანონებს; განასხვავებს სარეველა მცენარეებს და აყალიბებს მათთან ბრძოლის ღონისძიებებს;</p> <p>იცნობს ხეხილოვანი, ბოსტნეული და ვაზის კულტურების აგროტექნოლოგიას და სელექცია მეთესლეობას;</p> <p>იცის სოფლის მეურნეობის დარგის კანონები და მათი მოქმედების პრინციპები, დეტალურად აღწერს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შენახვის პირობებს და მეთოდებს, ბიოტექნოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს.</p> <p><b>აცნობიერებს:</b> მცენარეთა ახალი ჯიშების და ჰიბრიდების გამოყვანის თანამედროვე კვლევის მეთოდებს, ასევე თესლის და მისი თესვითი ღირსების დადგენის თავისებურებებს ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით.</p>
<p>ცოდნისპრაქტიკაშიგამოყენებისუნარი</p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის ნაკვეთისა და კულტურების შერჩევა;</li> <li>• სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზედაპირული და ძირეული გაუმჯობესება და რაციონალური გამოყენების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;</li> <li>• ოპტიმალურ კალენდალურ აგროვადებში დადგენილი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება;</li> <li>• თესლბრუნვების სისტემის შედგენა;</li> <li>• თესვისა და რგვის სამუშაოების ჩატარება;</li> <li>• მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ჩატარება;</li> <li>• მოსავლის აღების და აღების შემდგომი დამუშავების და დაფასოების ორგანიზება;</li> <li>• სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდა მინერალური, ბიოლოგიური, კომპლექსური და ორგანული სასუქების გამოყენებით;</li> <li>• მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა;</li> <li>• ლაბორატორიული სამუშაოების უპრობლემოდ ჩატარება.</li> </ul>
<p>დასკვნისუნარი</p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აგრონომიის დარგის პრობლემების გამოვლენა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება;</li> <li>• აგრონომიის დარგში ალტერნატივების შეფასება და სწორი გადაწყვეტილების მიღება;</li> <li>• სასოფლო-სამეურნეო წარმოებისას მისგან გარემოსათვის მოსალოდნელი ეკოლოგიური ზიანის თავიდან აცილებისათვის</li> </ul>

	შესაბამისი დასკვნის მომზადება; <ul style="list-style-type: none"> <li>• ლაბორატორიაში მუშაობის პროცესში გამოვლენილი პრობლემის ამოცნობა და განმარტება;</li> </ul>
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ჩამოაყალიბოს აგრონომიასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის და პრობლემის საზოგადოებისათვის გაცნობის დამატი გადაჭრის გზები, დამატებითი პროგრამის შედეგად მიღებული ცოდნის შესაბამისად აქვს პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობის, ზოგადად შედეგების წერილობითი ანგარიშის და ზეპირი წარმოდგენის უნარი.
სწავლის უნარი	აქვს ცოდნის გაღრმავების საჭიროების განსაზღვრის და აგრონომიის სპეციალობის სიღრმისეული შესწავლის უნარი.
ღირებულებები	შეუძლია აგრონომიის სფეროში მნიშვნელოვანი ღირებულებების გამოყოფა.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, სემინარი. ეს მეთოდები მოიცავს აქტივობებს დისკუსია, დემონსტრირება, პრეზენტაცია.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** აგრონომიის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კეთილმოწყობილი კაბინეტები, აგრარული მიმართულების თანამედროვე ლიტერატურით, უახლესი ბეჭდური და ელექტრული მასალებით აღჭურვილი, მუდმივად განახლებადი ბიბლიოთეკა, უწყვეტ რეჟიმში ინტერნეტში ჩართული და მომუშავე კომპიუტერული ცენტრები, ქიმიკ-ტექნოლოგიისა და სოფლის მეურნეობის ლაბორატორიები, უნივერსიტეტის სასწავლო საცდელი ნაკვეთი

**დასაქმების სფერო:** სტუდენტს, რომელსაც ექნება დასრულებული აგრარული სფეროს ძირითადი პროგრამა, მას აგრონომიის დამატებითი პროგრამის დასრულების შემდეგ შეუძლია დასაქმდეს: მსხვილი და მცირე ფერმერული მეურნეობებში; სასათბურე ფერმერულ მეურნეობებში; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დამის და ქვემდებარებაში არსებული ყველა რეგიონალურ სამმართველოსა და კომპანიაში; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; აგრო-წარმოების მოწყობის სამსახურები; აგრარული პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები; სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები, სახელმწიფო/კერძო კვლევითი და საკონსულტაციო მომსახურების (სერვის) სამსახურები; საგანმანათლებლო დაწესებულებები. შეუძლია გახდეს დამსაქმებელი და თვითონ შექმნას ფერმერული მეურნეობა;

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

სტუდენტის ცოდნა ფასდება შეფასების შემდეგი ფორმებით: შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. საბოლოო შეფასება შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას, რომელიც შეიძლება გადანაწილდეს:

შუალედური, შეფასებები-მინიმუმ 60 ქულა  
დასკვნითი, გამოცდა-მაქსიმუმ 40 ქულა

სტუდენტის ცოდნის შეფასებები განისაზღვრება შემდეგი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

ერთი შუალედური წერიტი გამოკითხვა;

წერიტი გამოცდა;

პრაქტიკული სამუშაოს შესრულება;

ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება;

ზეპირი გამოკითხვა (სემინარი);

დამოუკიდებელი თემის მომზადება და პრეზენტაცია,

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების მეთოდები: ტესტი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.

შეფასების მეთოდის საზომ ერთეულად გამოყენებულია შეფასების კრიტერიუმში, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების კრიტერიუმები დეტალურად გაწერია სასწავლო კურსის სილაბუსებში.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების შეჯამების საფუძველზე სტუდენტი მიიღებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას (კრედიტი მიენიჭა)

1. (A) ფრიადი \_ მაქს. 91 ქულა და მეტი

2. (B) ძალიანკარგი \_ მაქს. 81-90 ქულა

3. (C) კარგი \_ მაქს. 71-80 ქულა

4. (D) დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა

5. (E) საკმარისი \_ მაქს. 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას (კრედიტი არ მიენიჭა)

1. (FX) ვერ ჩააბარა მაქს. 41-50 ქულა

2. (F) ჩაიჭრა \_ მაქს. 40 ქულა და ნაკლები

სტუდენტი, რომელიც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების შეჯამების საფუძველზე მოაგროვებს 41-50 ქულას, ეძლევა გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის უფლება, ხოლო 40-ქულამდე მოგროვების შემთხვევაში უნდა გაიმეოროს საგანი.

**სწავლების ორგანიზების თავისებურებანი:** საგანმანათლებლო პროგრამის 60 კრედიტი განაწილებულია შემდეგნაირად: თითოეულ სემესტრში სტუდენტი აითვისებს ძირითადი პროგრამის კრედიტებთან ერთად 10 კრედიტს, აქედან 50 კრედიტი ძირითადი სასწავლო კურსების კრედიტებია, ხოლო 10 კრედიტი ეთმობა არჩევით კურსებს.

**სპეციალობის არჩევანი:** სტუდენტი ძირითად სპეციალობაზე ირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ხოლო დამატების სპეციალობას ირჩევს II სემესტრის ბოლოს და სწავლას იწყებს III სემესტრიდან.

	სახელი, გვარი	ხარისხი	აკადემიური თანამდებობა	სალექციო კურსები
1	მანანა კველიშვილი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი	პროფესორი	აგროქიმიკა; განოყიერების სიტემები; მიწათმოქმედება ნიადაგთმცოდნეობის საფუძვლებით; მემცენარეობა; მეხილეობა
2	ნიკოლოზ სულხანიშვილი	სოფლისმეურნეობისმეცნიერებათადოქტორი	ასოცირებული პროფესორი	აგროეკოლოგია ნიადაგთმცოდნეობა (კერძო); ბიომეურნეობის საფუძვლები; აგრომეტეოროლოგია
3	თამარ ნადირაზე	ბიოლოგიის მეცნიერებათადოქტორი	პროფესორი	ბოტანიკა მცენარეთა ეკოლოგია
4	ირა შილდელაშვილი	ტექნიკის დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	აგრობიოტექნოლოგია; ხილისა და ბოსტნეულის შენახვის ტექნოლოგია.
5	ლევან შავაძე	სოფლის მეურნეობის დოქტორი	პროფესორი	მევენახეობის აგროტექნოლოგია ამპელოგრაფია
6	ლეილა ბედიანიძე	სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი	მოწვეული დოქტორი	მცენარეთა სელექცია მცენარეთა გენეტიკა საკვებწარმოება
7	ლელა ბაზერაშვილი	ბიოლოგიის დოქტორი	მოწვეული დოქტორი	ენტომოლოგია; ფოტოპათოლოგია; მებოსტნეობა
8	ხათუნადონჯაშვილი	აგროეკოლოგიისმაგისტრი	მოწვეულიპედაგოგი	მიწათმოქმედებანიადგთმცოდნეობისსაფუძვლებით, მემცენარეობა

აკადემიური პერსონალის CV-ები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე.

[www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge)

